

შპს „კახური“

ს/კ 231244230

**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული:1 ლარი

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	593010	800617	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	259345	241803	3.2.
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	25720	6707	3.3.
მარაგები	3474528	2747560	3.4.
მ.შ. - მზა პროდუქცია	86537	322800	
- სხვა მარაგი	3387991	2424760	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	157359	13658	3.5.
ბიოლოგიური აქტივები	50	50	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	29798	34503	3.6.
ძირითადი საშუალებები	961050	592829	3.7.
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5500860	4437727	
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	143575	130670	3.8.
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3192	970	
საგადასახადო ვალდებულებები	51625		
გამომუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	84695	856975	3.9.
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	36789	37682	3.10.
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	163927	201608	3.11.
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	483803	1227905	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	4519241	2712006	
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი	5017057	3209822	3.12.
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5500860	4437727	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი

შპს "კახური"

საქმიანობის შედეგები

ერთეული:1 ლარი

	საანგარიშგებო პერიოდი
	2019
ნეტო ამონაგები	11141545
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	11092402
- მომსახურების გაწევიდან	32286
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
- სხვა ამონაგები	16857
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-6073618
- საწყისი მარაგები	-2747560
- მარაგების შესყიდვა	-6499854
- გადამუშავების დანახარჯები	-300732
- საბოლოო მარაგები	3474528
საერთო მოგება	5067927
სხვა საოპერაციო შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-340741
ცვეთა და ამორტიზაცია	-135905
საპროცენტო შემოსავალი	6
საპროცენტო ხარჯი	-28138
იჯარის ხარჯი	-1200
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-326367
სულ საოპერაციო ხარჯები	-832345
საოპერაციო მოგება	4235582
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება	
მ.შ. - ფინანსური აქტივების	
- მარაგების	
- სხვა არაფინანსური აქტივების	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	93710
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	23497
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციები	4373423
მოგების გადასახადის ხარჯი	-389573
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	3963216
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. ა...	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	3963216
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3209822
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირ...	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2155981
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5017057

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული:1 ლარი

	საანგარიშგებო პერიოდი
	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2272263
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-488420
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-2090133
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-306290
სავალუტო კურსის ეფექტი	98683
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	800617
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	593010

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კახური“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2001 წლის 20 მარტს თელავის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231244230, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი, N 1. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები: ზურაბ გოლეთიანი (პ.ნ. 20001000086) - 33,3%, დავით დოღმაზაშვილი (პ.ნ. 01001002469) - 33,3%, გიორგი მარკოზაშვილი (პ.ნ. 20001005266) - 33,4%. სამივე მათგანი იმავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნის გადამუშავებით ნატურალური ღვინის წარმოება და რეალიზაცია. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - არყის (ჭაჭის) წარმოება.

1.4. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766ლარი;

1 EUR=3.0701ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	3153	2010
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1792	32435
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	587881	714499
ევროები საბანკო ანგარიშებზე	20	51515,76
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	164	156
სულ:	593010	800617

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	193768	202395
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	65577	39408
სულ:	259345	241803

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	17696	3401
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8023.75	3306
სულ:	25720	6707

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	3855.0	4801
ნედლეული და მასალები	3330358	2411795
მზა პროდუქცია	86537.0	317999
საწვავ-საცხები მასალები	2357.0	3577
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	51422	9388
სულ:	3474528	2747560

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გადახდილ გადასახადს.

3.6. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
პატენტები	1393		279	1672		279	1951
პროგრამული უზრუნველყოფა	28152	4296	4679	28535	-	4357	32892
ლიცენზია	252	252		-			
ექსპლუატაციაში არ შესული პროგრამული უზრუნველყოფა	-	-4296		4296	4296		
სულ:	29797	252	4958	34503	4296	4636	34843

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი ს/კოდი 53.20.33.191 ყოფ. 53.17.144.028 (1200 მ2)	5780	2630		3150			3150
ნაყოფის მომცემი კულტურები	8629		298	8927			8927
დასამონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	173114	139548		33566	12551		21015
მიმოსვლის გზები	7954		429	8382		429	8811
შენობები	136771		10173	146944		10173	157117
ნაგებობები	7959	1778	470	6651		399	7050
მანქანა-დანადგარები	495722	290953	71467	276236	287626	26780	15390
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	6471		1799	8270		2101	10371
ელექტროგადამცემის საშუალებები	4951		1081	6032		1081	7113
მილსადენები	0			0			0
კონსტრუქციები	2764		360	3124		360	3484
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	14633	15912	1279	0			0
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	7101	4488	2699	5312		2049	7361
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა)	0		247	247		446	693
ავეჯი	0	0		0			0
ინვენტარი	11918	5243	4715	11390		4453	15843
სპეციალური ინსტრუმენტები	0			0			0
მსუბუქი ავტომობილები	36234	23500	8879	21613		11600	33213
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	14608		5478	20086		5683	25769
სხვა ავტოსატრანსპორტი	9458		3500	12958		3500	16458
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	10237	10410	174	0			0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	6746	3048	16242	19939	23984	28093	24048
სულ:	961050	497510	129289	592829	324161	97145	365813

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს დავალიანებებს რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ.

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 18 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსი.

აღნიშნული მუხლი მოიცავს არარეზიდენტი მყიდველისგან მიღებულ ავანსს.

3.10. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები.

ეს მუხლი მოიცავს რეზიდენტი ბანკისგან აღებულ სესხს.

3.11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

31.12.2019 წ. მდგომარეობით კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი 163926 ლარი ადგილობრივი ბანკიდან.

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	497816	497816
გაუნაწილებელი მოგება	4519241	2712006
სულ:	5017057	3209822

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2019 წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ყურძნის გადამუშავებით მიღებული ღვინისა და არყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან, ასევე, ღვინის ჩამოსხმის მომსახურებისგან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად).

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

შპს "კახური"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 ლარი

	საანგარიშგებო პერიოდი
	2019
ნეტო ამონაგები	11141545
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	11092402
- მომსახურების გაწევიდან	32286
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
- სხვა ამონაგები	16857
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-6073618
- საწყისი მარაგები	-2747560
- მარაგების შესყიდვა	-6499854
- გადამღებების დანახარჯები	-300732
- საბოლოო მარაგები	3474528
საერთო მოგება	5067927
სხვა საოპერაციო შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-340741
ცვეთა და ამორტიზაცია	-135905
საპროცენტო შემოსავალი	6
საპროცენტო ხარჯი	-28138
იჯარის ხარჯი	-1200
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-326367
სულ საოპერაციო ხარჯები	-832345
საოპერაციო მოგება	4235582
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება	
მ.შ. - ფინანსური აქტივების	
- მარაგების	
- სხვა არაფინანსური აქტივების	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	93710
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	23497
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	4352789
მოგების გადასახადის ხარჯი	-389573
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	3963216
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	3963216
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3209822
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2155981
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5017057

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი



შპს "კახური"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 ლარი

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	593010	800617	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	259345	241803	3.2.
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	25720	6707	3.3.
მარაგები	3474528	2747560	3.4.
მ.შ. - მზა პროდუქცია	86537	322800	
- სხვა მარაგი	3387991	2424760	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	157359	13658	3.5.
ბიოლოგიური აქტივები	50	50	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	29798	34503	3.6.
ძირითადი საშუალებები	961050	592829	3.7.
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5500860	4437727	
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	143575	130670	3.8.
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3192	970	
საგადასახადო ვალდებულებები	51625		
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	84695	856975	3.9.
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	36789	37682	3.10.
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	163927	201608	3.11.
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	483803	1227905	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	4519241	2712006	
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი	5017057	3209822	3.12.
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5500860	4437727	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი



შპს "კახური"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 ლარი

	საანგარიშგებო პერიოდი
	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2272263
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-488420
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-2090133
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-306290
სავალუტო კურსის ეფექტი	98683
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	800617
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	593010

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი

 გიორგი მარკოზაშვილი

